ანტიკური ტრაგედიიდან თანამედროვე დრამამდე: მედეას პერსონაჟის რეკონსტრუქცია პაატა ციკოლიას პიესაში

თათია დავითაძე
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: tatia.davitadze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0007-7888-719X

აბსტრაქტი: პაატა ციკოლია რეჟისორია, რომლის ბიოგრაფიას მიეკუთვნება არაერთი ექსპერიმენტული სპექტაკლის დადგმა. შეიძლება ითქვას, რომ ავტორი ყველაზე უფრო რადიკალური მედეას მიმართაა, მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ეროვნული იდენტობის საკითხი, მითოსური არქეტიპები და ა. შ. მას უფრო აინტერესებს, ზოგადად, თანამედროვე ევროპული ლიტერატურის აქტუალური პრობლემები: ემიგრანტის მდგომარეობა უცხო ქვეყანაში, გენდერული უთანასწორობა და სხვ.

პიესაში მოქმედება იწყება კოლხეთის მთებში; უკვე გარდაცვლილია მეფე აიეტი, 40 წელია გასული მედეას ამბიდან, მაგრამ ის არავის დავიწყებია, ახსოვთ მისი ხმა და კივილი: ,,ეს მე ვარ, მედეა!''

პიესის მთავარი სიუჟეტური სიახლე ისაა, რომ მედეა სამსჯავროზე გაჰყავთ საკუთარ ოჯახის წევრებს; საშინლად დამცირებული მედეა, შერცხვენილი მთელი კოლხეთის წინაშე, განიზრახავს შურისძიებას მთელ სამყაროზე; მედეა არ არის იასონზე შეყვარებული ქალი და არც იასონს გაუტაცებია ოქროს საწმისი, პირიქით, მედეა, რომელიც დაუპირისპირდა მამას და ძმას, გაიქცა კოლხეთიდან და მან თან წაიღო საწმისიც მათ დასასჯელად; მისი მიზანია მისი ოჯახის განადგურება და კოლხეთის დამხობა, ძველი დიდების წართმევა. ავტორი მედეას მიმართ დაუნდობელია, უფრო მეტიც - ცინიკური და სარკასტული. მედეა მისთვის სასტიკი მკვლელია: „ეს მე ვარ, მედეა, სასტიკი მკვლელი“.

საკვანძო სიტყვები: გენდერული უთანასწორობა, ექსპერიმენტული თეატრი, კოლხეთი, მედეა, მითის რეკონსტრუქცია, პაატა ციკოლია, თანამედროვე დრამა, შურისძიება.

***

პაატა ციკოლია არის რეჟისორი, რომელმაც თანამედროვე სპექტაკლების ექსპერიმენტული დადგმები შემოგვთავაზა. ერთ-ერთია ,,მედეა'', რომელიც მან ახლებური სტანდარტით წარმოგვიდგინა და სცენისთვის თავისებურად გადააკეთა, რასაც, რა თქმა უნდა, მოყვა საზოგადოების ორაზროვნება, რაც ბუნებრივიც იყო, რადგან, ,,ფაქტობრივად, პირველად ქართული დრამატურგიის ისტორიაში, ავტორმა ყველაზე უფრო რადიკალური მედეა შემოგვთავაზა, რომელიც ნამდვილად არ მოეწონებოდა მაყურებელს, რომელსაც კოლხი ასული საკუთარ წინაპრად განუსაზღვრავს'' (შამანიდი, 2024: 52).

დღეს უკვე მედეას ისტორიის ძალიან ბევრი ინტერპრეტაცია არსებობს; ,,ავტორები, რომელთა საშუალო ასაკიც 35 წელია, არსებითად ემიჯნებიან მათ წინამორბედებს და სრულიად თავისუფლები არიან ეთნიკური კომპლექსისგან. მართალია, მათი მიდგომა მედეას პერსონაჟის მიმართ სხვადასხვაგვარია, მაგრამ ის არცერთ შემთხვევაში არაა განპირობებული პერსონაჟის ეთნიკური წარმომავლობით. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული თეატრი და, ზოგადად, ხელოვნება, როგორც არასდროს, მიუახლოვდა მედეას ინტერპრეტაციის ევროპულ მოდელებს - უკანა პლანზეა

გადაწეული მედეას ეთნიკური წარმომავლობა და სულ უფრო მეტადაა ხაზგასმული სხვა შტრიხები; მაგალითად, ემიგრანტის მდგომარეობა უცხო ქვეყანაში, გენდერული უთანასწორობა და სხვა (შამანიდი, 2024:57); რაც შეეხება ციკოლიას მედეას, ასეთი შემზარავი და დაუნდობელი ტექსტი მანამდე არ შექმნილა ქართველი ავტორის მიერ.

თავიდანვე უნდა მივაქციოთ ყურადღება სათაურში არსებულ ინიციალებს, რომლებიც ერთგვარად იწვევს მკითხველის დაინტერესებას; ეს არის მინიშნება, რომ ავტორის მიერ შექმნილი ტექსტი მედეას შესახებ წარმოადგენს ,,სერიალს'' და ჩვენს წინაშე არის პირველი სეზონის მეექვსე ეპიზოდი, ანუ მწერალი გვიჩვენებს მედეას მითის მხოლოდ ფრაგმენტს, ეს მითი კი აქამდე დიდი ხნის დაწყებულია და, რა თქმა უნდა, ამ ეპიზოდის შემდეგაც გაგრძელდება.

მედეას ისტორიის ჩვენება, თითქოს ეს სერიალია, საკმაოდ საინტერესო ინტერპრეტაციაა და ამით ნათელი ხდება საზოგადოების დამოკიდებულება სატელევიზიო სერიალების მიმართ.

პიესა დაწერილია სამი მსახიობისთვის და ქოროსთვის. მთელი მეექვსე ეპიზოდი, რომელსაც ავტორი გვიჩვენებს, 11 მოქმედებისგან შედგება, თითოეულ ამ მოქმედებას აქვს დასათაურება (1. ეპოპე. მეფე აიეტის დაცვის ყოფილი უფროსი. პანსიონატი "ეგალე". კოლხეთის მთები. იმ დღიდან გასულია 40 წელი. საღამო; 2. იღუმენია ქალკიოპე. ხალკოტაურუს მონასტერი. კოლხეთის ტყე. ის დღე. დილა; 3. უფლისწული აბსირტო, მეფე აიეტის უფროსი ვაჟი, მხლებლებით. კოლხეთის ტყე. ის დღე. დილა; 4. მეფის ასული მედეა და ეპოპე, მეფე აიეტის დაცვის უფროსი. კოლხეთის ტყე. ის დღე. შუადღე; 5. ჰეკათეს ფესტივალი. კოლხეთის ტყე. ის დღე. შუადღე; 6. ეპოპე. მეფე აიეტის დაცვის ყოფილი უფროსი. პანსიონატი "ეგალე". კოლხეთის მთები. იმ დღიდან გასულია 40 წელი. საღამო; 7. უფლისწული აბსირტო. სასტუმრო „ფაზიფა". კოლხეთის მთები. ის დღე. საღამო; 8. არგონავტების მითის შესახებ; 9. ეპოპე. მეფე აიეტის დაცვის ყოფილი უფროსი. პანსიონატი "ეგალე". კოლხეთის მთები. იმ დღიდან გასულია 40 წელი. საღამო; 10. ეპოპე; აბსირტო და ეპოპე. სასტუმრო "ფაზიფა". კოლხეთის მთები. იმ დღიდან გასულია 12 წელი. დილა; 11. მედეა, არგო, ის ღამე), რომელიც მკითხველს წინასწარ აწვდის ინფორმაციას, თუ რაზე იქნება საუბარი, მოცემულ თავში.

მთელი პიესა ვითარდება კოლხეთის მიწაზე, ანუ სანამ მედეა იასონთან ერთად ჩავა კორინთოსში, რაც, ბუნებრივია, იწვევს მედეას მიერ შვილების მკვლელობის ეპიზოდის ამოვარდნას, ეს კი ავტორის ინდივიდუალური ინტერპრეტაციის გამოვლენაა. ,,ამ პიესაში შვილების მკვლელობის სცენა არ გვაქვს, მაგრამ ავტორი მიგვანიშნებს, რომ ქალი, რომელიც ასეთი გულგრილობით (თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ძალიანაც წვალობს, როდესაც ამას აკეთებს) აკუწავს მისდამი უპირობო ნდობით აღვსილ საკუთარ, ჯერ კიდევ ბავშვ ძმას, სავარაუდოდ, იმის გამკეთებელიცაა, რაც ასე არ გვინდა გვჯეროდეს ქართველებს - შვილებსაც დახოცავს იასონისადმი შურისძიების გამო'' (შამანიდი, 2024: 56).

საინტერესოა, რომ ციკოლიას პერსონაჟებს აქვთ მობილური ტელეფონები, სოციალური ქსელები, აქვე ყურადსაღებია ფაქტი, რომ საუბარია ქრისტიანულ მონასტრებზე და ტურიზმის პოპულარულ მოდელზე, ანუ ერთგვარი დროის სარტყელი ავტორთან აღრეულია და ძველი მითების სამყაროში შეტანილია თანამედროვე ნიუანსები საკმაოდ დიდი დოზით, თუმცა, პიესა საკმაოდ ბევრი ატრიბუტით ინარჩუნებს არგონავტების მითის ელემენტებს.

პიესის პირველი თავი იწყება კოლხეთის მთებში მაშინ, როდესაც 40 წელია გასული მედეას ამბიდან, გარდაცვლილია მეფე აიეტიც და უკვე ის ჟამი დგას, როცა მედეას სახელის ხსნება დასაშვები ხდება. დიალოგში კარგად ჩანს, რომ მედეა 40 წლის შემდეგაც არავის დავიწყებია, პირიქით - ყველა ნიუანსი კარგად ახსოვთ და არ ავიწყდებათ მისი ხმა და კივილი: ,,ეს მე ვარ, მედეა!'' (ციკოლია, 2020: 69).

ხალკოტაურის მონასტერი, რომელიც ნახსენებია პიესის მეორე ეპიზოდში, ერთგვარად წარმოადგენს ავტორის ჩანართს და კიდევ ერთ მცდელობას, რომ მითში შეიტანოს ახლებური ინტერპრეტაცია, რადგან იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ეკლესია-მონასტრები. როგორც პიესიდან ჩანს, ეს მონასტერი მდებარეობს კოლხეთის ტყეში და მისი მმართველი არის იღუმენია ქალკიოპე. მონასტერში ყველას აინტერესებს მედეა და მისი ამბავი, მათ თითქოს შურთ მედეას სიძლიერის და თავისუფალი ცხოვრების. მონაზვნების მთავარ ინტერესს წარმოადგენს, ვის ვინ უყვარს და ვინ ვისი ცოლი იქნება. ასევე, ჩვენდა გასაკვირად, მონაზვნები თავისუფლად სარგებლობენ სოციალური ქსელებით და გამოირჩევიან მუდმივი აქტიურობით.

ციკოლიას პიესაში მესამე ეპიზოდიდან მედეასა და მის უფროსს ძმას - აბსირტოსს შორის გაჩაღებულია სასტიკი ომი - ძმა მუდამ ცდილობს მედეას დამცირებას, შერცხვენას და წამებას, რაც ძალიან ცუდი ხერხებით ხდება: ის ამოსვრილი ყავს შარდში, ნაცემი და შეურაცხყოფილი მედეა ყველას წინაშე და ვერაფრით იცავს თავს. ამ საზარელ სანახაობას კი ,,ლაივის'' მეშვეობით გადასცემენ და მთელი კოლხეთი თვალს ადევნებს. აფსირტოსს სძულს მედეა და მას მამის გამყიდველ კახპას უწოდებს: ,,ბერძენის ყ..ზე გაცვალე მამა!'' (ციკოლია: 2020: 19) აბსირტო დაავალებს მეფე აიეტის დაცვის უფროსს - ეპოპეს, რომ მედეა გააუპატიუროს და, მართლაც, მედეას არც ეპოპე დაინდობს, შეიძლება სხვა გზაც არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მედეა საკუთარ განავალშია ამოსვრილი და შერცხვენილია, მაინც ცდილობს, მყარად იდგეს, სულიერად არ დაეცეს და კარგად დაიმახსოვროს ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდება, რათა მერე ყველას მისხალ-მისხალ გადაუხადოს სამაგიერო.

პიესის მთავარი ეპიზოდია მედეას სამსჯავროზე გაყვანა საკუთარი ოჯახის წევრების მიერ, ამ ეპიზოდს არცერთ ავტორთან არ ვხვდებით, ანუ ციკოლია ერთადერთია, ვინც მედეას პერსონაჟს დამსახურებული შურისძიების მიზეზს აძლევს; სწორედ ამიტომაც წარმოგვიდგენს იგი ამ ეპიზოდს ასე მწვავედ: ,,(მედეას) მედეა, დაო, ეს რა დაგმართნია? - (ეპოპეს) ფუჰ, როგორ ყარს. - რა ქენით, სცემეთ? - სცემეთ? - როგორ შეიძლება?! - 13 - უფლისასულის ცემა როგორ გაბედეთ, მონებო?! - რომელმა დაარტყით, ჰა?! ჰა-ჰა-ჰა-ჰა! - პოპიი, შე ბებერო! - (მედეას. მშვიდად) კაბა დაგსვრია, დაო! - ფსელით და ძღრენით. - ჰა-ჰა-ჰა-ჰა! - რომელმა დაარტყით ხელი ჩემს დას? - (ღრიალებს) ჰა! - რა სახეები გაქვთ, ბიჭო, რა?! - ჰა-ჰა-ჰა-ჰა! - რაო, შეგეშინდათ? - რამ შეგაშინათ? - უნდა ურტყათ, აბა, რა! - აბა, რისთვის მოათრევდით ტყეში? (მოფერებით) ამას და ამისნაირებს უნდა ურტყა, აბა რა! - (უცებ, მედეას სცემს) უნდა ურტყა, აბა, რა! აბა, რა! აბა, რა! - (დგება. ტელეფონს იმარჯვებს) - მედეა, გაჩერდი ერთი წამი, ვიდეოს გიღებ. - მედეა, ნუ ხოხავ!'' (ციკოლია, 2020: 12).

დამცირებული მედეა, რომელიც შერცხვენილია მთელი კოლხეთის წინაშე საკუთარი ძმის მიერ, რა თქმა უნდა, არ ივიწყებს ამას და იწყებს შურისძიებას მთელ სამყაროზე; თავიდან იწყებს უფროსი ძმის დასჯას და სასტიკი წესებით დახოცავს ახალგაზრდებს. ამ რეალობის შემყურე ხალხი გაოცებული რჩება იქ არსებული რეალობით, რადგან ასეთი სისასტიკე არასდროს უნახავთ არსად: ,,როგორც ჩანს ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, როცა გენიტალიები დააგლიჯეს და პირებში ჩაუტენეს, რადგან ორი თუ სამი ასფიქსიით იყო გარდაცვლილი, თავისივე გენიტალიებით დამხრჩვალი'' (ციკოლია, 2020: 37); შემდეგ კი, ოქროს საწმისთან და უმცროს ძმა ეგალესთან ერთად, მიემგზავრება კოლხეთიდან, თუმცა აქ მისი შურისძიება არ მთავრდება. ამ პიესაში მედეა არ არის იასონზე შეყვარებული ქალი და არც ოქროს საწმისის ბერძნებისთვის გადაცემის მიზეზი გამხდარა იასონი, პირიქით - მედეა კოლხეთიდან გაიქცა, რადგან ამით დაუპირისპირდა მამას და ძმას, რათა, სათანადოდ დაესაჯა; ამიტომ მას სჭირდებოდა კოლხეთიდან გაქცევა და, რა თქმა უნდა, ძლიერი საყრდენი ბერძნების მხრიდან. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა კოლხეთის დამხობა და საკუთარი ოჯახის განადგურება.

მთელი პიესა აგებულია მწვავე, დაძაბული ეპიზოდებით, რადგან ,,აქ არჩევანის გაკეთება ცუდსა და იმ მომენტისათვის უფრო ცუდს შორის გვიწევს: აიეტს (გახრწნილი სახელმწიფოს სახეს) მედეა ღალატით უპირისპირდება; მოღალატე მედეას აიეტი (ხელქვეითების ხელით) სჯის; თავის მხრივ, მედეა შურს იძიებს აიეტზე'' (შამანიდი, 2024: 56).

მედეა კლავს (ეს უფრო მსუბუქი ნათქვამია, უფრო სწორად ,,ჩეხავს და ანაკუწებს'' უმცროს ძმას ეგალეს, რათა მამამისმა სხეულის ნაწილების შეგროვება ვერ შეძლოს და მუდმივად დაეძებდეს ზღვაში. ამ შემზარავი ფაქტით მედეამ მოახერხა აიეტის განადგურება, რადგან აიეტმა არა მხოლოდ ეგალე, არამედ მედეაც დაკარგა. მძიმე იყო უძლეველი კოლხი მეფისთვის ამ ფაქტთან შეგუება. მრისხანე მედეამ მთელი კოლხეთი დაშალა და ძველი დიდება წაართვა, გააკეთა ის, რაც მტერმა ვერ შეძლო კოლხეთის წინაშე. აიეტი გაწირეს საკუთარმა შვილებმა, ის კი ამისთვის სასჯელს ვერავის დააკისრებდა, რადგან თავად იყო დამნაშავე.

ფინალური, მეთერთმეტე, სცენა - ,,მედეა, არგო, ის ღამე'' - სრულდება მედეას საოცარი მონოლოგით:

,,ახლა ხომ გეცნობით, ეს მე ვარ, მედეა, სასტიკი მკვლელი!
მე ის არა ვარ, ვინც დამარცხდება.
მე ის არა ვარ, ვისაც წაქცეულს ნახავთ''.
(ციკოლია, 2020: 68)

ჩვენმა უძლეველმა პერსონაჟმა საწადელს მიაღწია, აღასრულა ყველა ჩანაფიქრი და ბოლო მოუღო საკუთარ ოჯახსაც და მთელ კოლხეთსაც; თითქოს ამ ყოველივეს მისთვის უნდა მოეტანა სიმშვიდე, მაგრამ მედეა მაინც ღელავს და თითქოს რაღაცნაირად გრძნობს სამომავლო საფრთხეს, იმას რაც მას მომავალში ელოდება. ამავე დროს მედეამ იცის, რომ უცხო მიწაზე ის არის ,,გვამი'', თუმცა, მაინც ,,მედეაა''.

პაატა ციკოლიას პიესა „მედეა“ წარმოადგენს ანტიკური მითის რადიკალურ და დემითოლოგიზებულ რეკონსტრუქციას. ავტორი უარს ამბობს მედეას, როგორც „კოლხი დედოფლისა“ და „ეთნიკური სიმბოლოს“ ტრადიციულ გაგებაზე და პერსონაჟი გადაჰყავს თანამედროვე სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში. ციკოლიას მედეა აღარ არის მხოლოდ იასონისგან მიტოვებული ქალი; ის არის საკუთარი ოჯახის მიერ დამცირებული, „ლაივ-ეთერით“ შერცხვენილი და სისტემური ძალადობის მსხვერპლი, რომელიც საშინელი სისასტიკით პასუხობს სამყაროს. ამ ინტერპრეტაციით, მედეას მითი ტრანსფორმირდება „სერიალის“ ფორმატის მქონე თანამედროვე ტრაგედიად, სადაც ანტიკური დიდება ჩანაცვლებულია ემიგრაციის, გენდერული უთანასწორობისა და სოციალური გაუცხოების პრობლემებით. საბოლოოდ, ავტორი გვიჩვენებს მედეას, როგორც „სასტიკ მკვლელს“, რომელმაც შურისძიების გზით გაანადგურა საკუთარი იდენტობა და კოლხეთის წარსული დიდება.

ციკოლიას დრამატურგიაში მედეას „სასტიკ მკვლელად“ ჩამოყალიბება არ არის შემთხვევითი აქტი, არამედ ეს არის პასუხი იმ ტოტალურ ძალადობაზე, რომელსაც ციფრული ეპოქის საზოგადოება შობს. „ლაივის“ მეშვეობით მისი დამცირების ჩვენება პიესას სოციალურ-პოლიტიკურ განზომილებას სძენს — აქ ტრაგედია აღარ არის კათარზისის წყარო, ის იქცა სანახაობად, კონტენტად, რომელიც ვირტუალურ სივრცეში მოწონებებსა და კომენტარებს აგროვებს. მედეას სხეული ამ კონტექსტში ხდება ბრძოლის ველი, სადაც ძმა და მამა საკუთარ ძალაუფლებას მისი საჯარო შერცხვენითა და „ციფრული პანოპტიკუმით“ ამტკიცებენ.

განსაკუთრებით საგულისხმოა აბსირტოსის პერსონაჟის ტრანსფორმაცია, რომელიც მოძალადე სისტემის სახედ გვევლინება. მისი სიძულვილი მედეას მიმართ გაჯერებულია ტოქსიკური მასკულინობითა და პატრიარქალური შიშით — შიშით იმისა, რომ ქალმა შეიძლება დაარღვიოს დადგენილი იერარქია. აბსირტოსის მიერ წარმოთქმული უხეში, გინებაზე დაფუძნებული ლექსიკა არის არა მხოლოდ პერსონაჟის დაბალი კულტურის ნიშანი, არამედ ენობრივი ტერორი, რომელიც

მიზნად ისახავს მედეას, როგორც პიროვნების, სრულ გაუქმებასა და მის გადაქცევას უუფლებო ობიექტად.

ამავე დროს, ციკოლიასთან მედეა „უცხოა“ ჯერ კიდევ კოლხეთში ყოფნისას, რაც ემიგრაციის ერთგვარ შინაგან ფორმას წარმოადგენს. მისი კონფლიქტი ოჯახთან და საზოგადოებასთან მას დევნილად აქცევს საკუთარ მიწაზევე, ხოლო გადაწყვეტილება, გაჰყვეს ბერძნებს, აღარ არის რომანტიკული სიყვარულის აქტი, არამედ რადიკალური პოლიტიკური გაქცევაა. ის ტოვებს გარემოს, სადაც მას მხოლოდ „კახპად“ აღიქვამენ, თუმცა ამ გაქცევით ის ვერ პოულობს თავისუფლებას — ის უბრალოდ იცვლის ტყვეობის ფორმას და ერთი მოძალადე სისტემიდან მეორეში გადადის.

სისასტიკე, რომელსაც მედეა ავლენს ძმის მკვლელობისას, პიესაში წარმოჩენილია როგორც გარდაუვალი რეაქცია იმ სისტემურ ბოროტებაზე, რაც მან გამოიარა. ავტორი არ ცდილობს გმირის მორალურ გამართლებას, მაგრამ ის გვიჩვენებს ძალადობის დაუსრულებელ ციკლს: როდესაც ადამიანს ართმევენ ღირსებასა და სხეულის ხელშეუხებლობას, მისი ერთადერთი პასუხი აბსოლუტური ნიჰილიზმი ხდება. გენიტალიების დასახიჩრების შემზარავი აქტი არის სიმბოლური სამაგიერო იმ სექსუალურ და ფიზიკურ დამცირებაზე, რომელიც მედეამ საკუთარი ოჯახის წევრებისა და „დაცვის უფროსის“ მხრიდან იწვნია.

ამ პროცესში ხალკოტაურის მონასტრის მონაზვნები ანტიკური ქოროს ფუნქციას ასრულებენ, თუმცა მათი როლი გაცილებით უფრო ცინიკური და თანამედროვეა. ისინი განასახიერებენ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც რელიგიური ფასადის მიღმა მალავს მდაბალ ინტერესებსა და სხვისი ტრაგედიით ტკბობის სურვილს. სოციალური ქსელების აქტიური გამოყენებით ისინი ხდებიან მედეას შერცხვენის „თანამონაწილე მაყურებლები“. ციკოლია ამით ამხელს იმ ფსევდო-მორალს, რომელიც ხშირად თანამედროვე საზოგადოებაში მსხვერპლის დადანაშაულებისა და კოლექტიური თვალთვალის საფუძველი ხდება.

აიეტის სახე კი ამ პიესაში აღარ არის ძლევამოსილი მონარქი, არამედ „გახრწნილი სახელმწიფოს“ მმართველი, რომელიც ვერ აკონტროლებს საკუთარ ოჯახსაც კი. მისი სასჯელი — მედეასა და ეგალეს დაკარგვა — არის ლოგიკური დასასრული იმ ტირანიისა, რომელიც მან თავადვე დაამკვიდრა. მედეას მიერ კოლხეთის „დაშლა“ არ არის მხოლოდ ოჯახური შურისძიება, ეს არის მთელი პოლიტიკური სისტემის კრახი. აიეტის ტრაგედია იმაშია, რომ მან თავად შექმნა ის „მონსტრი“, რომელმაც საბოლოოდ მისი სამეფო და წარსული დიდება ფერფლად აქცია.

პიესაში არსებული დროითი აღრევა — მობილური ტელეფონების, ტურიზმისა და ანტიკური ატრიბუტების თანაარსებობა — ემსახურება მითის მარადიულობის ხაზგასმას. ანაქრონიზმების გამოყენებით ავტორი შლის ზღვარს წარსულსა და აწმყოს შორის, რითაც მკითხველს აიძულებს, მედეას ტრაგედია აღიქვას არა როგორც შორეული ლეგენდა, არამედ როგორც დღევანდელი სოციალური პათოლოგიების ანარეკლი. ეს რეკონსტრუქცია გვაჩვენებს, რომ ტექნოლოგიური პროგრესის მიუხედავად, ადამიანური სისასტიკისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლის მოდელები უცვლელი რჩება.

საბოლოო ჯამში, პაატა ციკოლიას ფინალი გვიტოვებს მედეას, რომელმაც გაიმარჯვა შურისძიებაში, მაგრამ წააგო საკუთარი თავი. მისი ეგზისტენციალური სიცარიელე და აღიარება, რომ ის „გვამია“, მიანიშნებს იმაზე, რომ რადიკალურმა ამბოხმა მისი პიროვნების სრული ეროზია გამოიწვია. ავტორი გვთავაზობს მედეას სახის სრულიად ახალ, დემითოლოგიზებულ ვერსიას, სადაც ანტიკური გმირობა ჩანაცვლებულია თანამედროვე ადამიანის სიმარტოვითა და იმ ტრაგიკული რეალობით, რომელშიც შურისძიებას სიმშვიდე არ მოაქვს.

ამგვარად, პაატა ციკოლიას „მედეა“ ქართულ ლიტერატურულ და თეატრალურ სივრცეში მკვიდრდება, როგორც პოსტმოდერნული რეკონსტრუქციის თვალსაჩინო ნიმუში, სადაც მითოსური დიდებულება ყოველდღიურობის სიმკაცრითა და ფრაგმენტულობითაა ჩანაცვლებული. ავტორის

მიერ შემოთავაზებული „სერიალის“ ფორმატი და მედეას პერსონაჟის რადიკალური ტრანსფორმაცია ემსახურება არა მხოლოდ ანტიკური სიუჟეტის განახლებას, არამედ იმ ეთნიკური და ნაციონალური კომპლექსების მსხვრევას, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ზღუდავდა მედეას სახის ობიექტურ აღქმას ქართულ კულტურაში. ციკოლიამ მედეა გამოიყვანა „წინაპრის“ სტატიკური როლიდან და აქცია ცოცხალ, ტკივილიან და შემზარავ პერსონაჟად, რომელიც თანამედროვე მაყურებლისთვის სარკესავით ირეკლავს ძალადობის, სოციალური გაუცხოებისა და ციფრული ერისთვის დამახასიათებელი ემპათიის დეფიციტის პრობლემებს. პიესა გვიდასტურებს, რომ მედეას ტრაგედია ამოწურვადი კი არ არის, არამედ მარადიულად რეგენერირებადი პროცესია, რომელიც ყოველ ახალ ეპოქაში პოულობს შესაბამის ენასა და ფორმას საკუთარი თავის ხელახალი იდენტიფიკაციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

გორდეზიანი, 2009: გორდეზიანი რისმაგ, ,,ბერძნული ლიტერატურა'', გამომცემლობა ,,ლოგოსი'', თბილისი.

გორდეზიანი.., 2005: გორდეზიანი რისმაგ, ტონია ნანა, ,,ანტიკური ლიტერატურა. გამომცემლობა ,,ლოგოსი'', თბილისი.

ელიადე, 2009: ელიადე მირჩა, ,,მითის ასპექტები'', გამომცემლობა ,,ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი'', თბილისი.

ევრიპიდე, 2017: ევრიპიდე ,,მედეა'', გამომცემლობა ,,ლოგოსი'', თბილისი.

შამანიდი, 2024: შამანიდი სოფიო, ,,აუტანელი'' ქალები'', გამომცემლობა ,,სულაკაური'', თბილისი.

ტონია.., 2019: ტონია ნანა, კიკნაძე ზურაბ, ,,მითოლოგიური ენციკლოპედია'', გამომცემლობა ,,ბაკმი'', თბილისი.

ციკოლია, 2020: ციკოლია პაატა, ,,მედეა s01e06', თბილისი.